სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი №10

სხდომა გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2025 წლის 28 ოქტომბერს (სხდომა დაიწყო 11:00 სთ-ზე, დამთავრდა 11:50 სთ-ზე).

სხდომას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ლევანი უჩანეიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ზაზა ნაჭყებია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე – ინგა ქარდავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე – ბადრი კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარედ - ბადრი ხურცია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - გიგა წურწუმია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ - ირაკლი კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“- ს თავმჯდომარე - ლევანი ჯინორია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“- ს თავმჯდომარის მოადგილე - მანანა გვიჩია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - შაქრო კოკაია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“- ს თავმჯდომარის მოადგილე - ელიზბარი ოდიშარია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - კაპიტონი ტორჩინავა; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ზაზა ყურაშვილი; საკრებულოს წევრები: ირაკლი ცხვიტავა; ბადრი შარტავა; მარინე ნანეიშვილი.

ასევე ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირები: მ. ჯანაშია.

სხდომას თავმჯდომარეობდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია.

მოისმინეს: 1. მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 ოქტომბრის სხდომის **დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 ოქტომბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი 44.04.28.347) 27,7 კვ.მ. თავისუფალი ფართის ელექტრონული აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

3. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილის, მოადგილის და საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით ბიულეტენის ნიმუშისა და არჩევის პროცედურების დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი“

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 17; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 ოქტომბრის სხდომის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 ოქტომბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი 44.04.28.347) 27,7 კვ.მ. თავისუფალი ფართის ელექტრონული აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

3. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილის, მოადგილის და საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით ბიულეტენის ნიმუშისა და არჩევის პროცედურების დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი“

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი შ. რუსთაველის ქ. №247).

მოისმინეს: 2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი 44.04.28.347) 27,7 კვ.მ. თავისუფალი ფართის ელექტრონული აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი 44.04.28.347) 27,7 კვ.მ. თავისუფალი ფართის ელექტრონული აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე –17; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. მიეცეს თანხმობა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას ელექტრონული აუქციონის ფორმით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გასცეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სენაკში, ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი 44.04.28.347) მეორე სართულზე მდებარე 27,7 კვ.მ. თავისუფალი ფართი (1 (ერთი) ოთახი), 3 (სამი) წლის ვადით, დანართი №1-ის პირობების შესაბამისად.

2. ზემოაღნიშნული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი 44.04.28.347) სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასური განისაზღვროს 550 (ხუთას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

3. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).

მოისმინეს: 3. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილის, მოადგილის და საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით ბიულეტენის ნიმუშისა და არჩევის პროცედურების დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილის, მოადგილის და საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით ბიულეტენის ნიმუშისა და არჩევის პროცედურების დამტკიცების შესახებ.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 17; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილის, მოადგილის და საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის კენჭისყრით არჩევასთან დაკავშირებით ბიულეტინის ნიმუშები №№1, 2, 3, 4 დანართების თანახმად.
2. ბიულეტინი გაცემის წინ უნდა დამოწმდეს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით.
3. საკრებულოს წევრი მისთვის სასურველ კანდიდატს შემოხაზავს ბიულეტინზე, სპეციალურად გამოყოფილ ოთახში მდებარე მაგიდაზე განთავსებული ბურთულიანი ლურჯი ფერის საწერკალამით.
4. საკრებულოს წევრი სასურველი კანდიდატურის არჩევის შემდეგ, ბიულეტინს ათავსებს სპეციალურ კონვერტში.
5. ბიულეტინი მიიჩნევა ბათილად, თუ

ა) ბიულეტინი დამოწმებული არ არის ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით;

ბ) შეუძლებელია იმის დადგენა, რომელ კანდიდატს მისცა ხმა საკრებულოს წევრმა;

გ) სპეციალურ კონვერტში აღმოჩნდა დადგენილ რაოდენობაზე მეტი ბიულეტინი;

დ) ბიულეტინი საარჩევნო ყუთში აღმოჩნდა სპეციალური კონვერტის გარეშე.

6. დაევალოს საკრებულოს აპარატს მოახდინოს ბიულეტინებისა და სპეციალური კონვერტების დამზადება.
7. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და კომისიის თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით ბიულეტინის ნიმუშისა და არჩევის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 12 ნოემბრის №38 განკარგულება.
8. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
9. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის:. ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქუჩა № 247).

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: საბა ოდიშარია